მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვანო ბურნაძის წერაქვის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრის

ოქმი N1

ქ. მარნეული **,,–10–„09–.2019**

წელი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ვანო ბურნაძე,მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, ლევან აკოპიანი.

სხდომას ესწრებოდა - წერაქვის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: წერაქვის,სიონის და ჯანხოშის მოსახლეობა, ასევე მარნეულის მაჟორიტარის პარლამენტის წევრის თამაზ ნავერიანის ბიუროს უფროსი აგილ ამირჯანოვი,მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების სპეციალისტები არჩილ მდივნიშვილი და თამუნა ჩაჩანიძე.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,წერაქვის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ვანო ბურნაძის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, წერაქვის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვანო ბურნაძემ წერაქვის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების (წერაქვი,სიონი,ჯანხოში) მოსახლეობას წარუდგინა 2019 წლის ანგარიში. საკრებულოს წევრი შეეხო წერაქვის ადმინისტრაციულ ერთეულში 2019 წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.აღინიშნა,რომ მიმდინარე წელს სოფელ წერაქვში განხორციელდა არმირებული ბეტონის მოწყობა,ასევე შესრულდა გარე განათების მოწყობის სამუშაოები .

სოფელ სიონში მოეწყო საკომუნიკაციო კუთხე და საბავშვო სივრცე .განხორციელდა სასმელი წყლის შიდა ქსელის რეგილიტაცია,ასევე მოეწყო საფეხმავლო ხიდი.

სოფელ ჯანხოში - წყაროდან სასმელი წყლის მონტაჟი განხორციელდა.

აზრი გამოთქვეს: მოსახლეობამ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც აწუხებს სოფელი წერაქვის მოსახლეობას.ჩამოთვლილი პრობლემებიდან ყველაზე აქტუალურია სასმელი წყალი,გარე განათება, შიდა გზები,მუზეუმის სახურავის გადახურვა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, სკოლის გათბობის სისტემით აღჭურვა .

სოფელი სიონის მოსახლეობამ წყლის სისტემის რეაბილიტაცია დააყენა პრიორიტეტულ პრობლემად ,ასევე სოფლამდე მისასვლელი გზის მოასფალტება და შიდა გზების რეაბილიტაცია.

გადაწყვიტეს: მოსახლეობამ დადებითად შეაფასა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, წერაქვის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ვანო ბურნაძის გაწეული მუშაობის ანგარიში.